საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3167

საშობაო ეპისტოლე

2021

„თაყვანისცემაᲘ შენდა, მზეო სიმართლისაო,
რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთათ,
უფალო, დიდება შენდა“.
(დღესასწაულის ტროპარი)

ძვირფასო მამანო და ძმანო, ქრიტეს მიერ საყვარელნო შვილნო!

კვლავ დადგა ქრისტეშობის უდიდესი დღესასწაული, რათა ზეციური სიხარული და ზებუნებრივი ჰანგი მოგვფინოს, დაგვატკბოს, გაგვაკეთილშობილოს, დაალბოს ჩვენი გულები და ზეცად აღგვამაღლოს. ჩვენთვის ძალზე საჭიროა მისი ღვთაებრივი ზეშთაგონება, რამეთუ დიდი კრიზისი გვიდგას, ჟამი უდიდესი განსაცდელებისა, როგორც პირადად თითოეულ ჩვენგანს, ისე მთელ კაცობრიობას. ნება მიბოძეთ შეგახსენოთ ჩვენი წმინდა სარწმუნოების ყველაზე მნიშვნელოვან ჭეშმარიტებათაგან ზოგიერთი, რათა განვმტკიცდეთ უფლის მიერ ღვთაებრივი მადლის შემწეობით.

ძველისრაელში უკეთურ წინამძღოლებს, როგორც პოლიტიკურს, ისე რელიგიურს, ხშირად მკაცრად ამხელდნენ წმინდა წინასწარმეტყველნი და მართალნი, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ცხვრები - ხალხი, მათ ეკუთვნოდათ, ხოლო თავად კი - ღმერთს. და მათზე თავდაუზოგავი ზრუნვის ნაცვლად, ძალადობითა და ჩაგვრით, გაფანტეს და დევნიდნენ მათ. ეს არის ყველა დროის პრობლემა, რომელიც ასევე არსებობს ჟამსა ამას მადლისასა. ასე რომ, ქრისტეს შობამდე პრობლემის გადაწყვეტა კეთილი მწყემსის - უფლისა ჩვენისა და მაცხოვრის, იესო ქრისტეს მოსვლის მოლოდინი იყო, რომელიც შეკრებდა და დააბრუნებდა თავის დამაშვრალ და გაფანტულ ცხვრებს. როგორც მწყემსმთავარი, ლმობიერებით, მშვიდობითა და სიყვარულით აღსავსე, დიდებული და ამასთან მდაბალი, ის დაამყარებდა თავის ეკლესიას მიწაზე, როგორც ცხოვნების ბჭესა და კიდობანს.

წინასწარმეტყველი ესაია ხედავს: „გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა და ყუავილი ძირისაგან აღმოჴდეს“(11,1), ხოლო წინასწარმეტყველი იერემია ხმამაღლა ქადაგებს: „ესერა, დღენი მოვლენ, - იტყჳს უფალი, - და აღუდგინო დავითს აღმოსავალი მართალი, და მეფობდეს მეფე მართალი და გულისჴმა-ყოს და ქმნას განკითხვა და სიმართლე ქუეყანასა ზედა“(23,5). მომავალი უფალი ჩვენი იესო ქრისტე გამოჩნდება ვითარცა ბრწყინვალე მზე, ჭეშმარიტი მზე სიმართლისა, და მეუფედ იწოდება მარადიული საუფლოსი. ის, განსხვავებით ამქვეყნიურ უგუნურ მმართველთაგან სიბრძნითა და კეთილგონიერებით განაგებს. მან, რომელიც „განვიდა ძლევითა, და სძლოსცა“(გამოცხ.6,2), სამართლად საჯოს და ჭეშმარიტი სამართლიანობა განახორციელოს დედამიწაზე. უსამართლო მჩაგვრელ მმართველთაგან მკვეთრი განსხვავებით, ქრისტეს მაცხოვნებელი სამართლიანობა, უსაფრთხოება და მშვიდობა მოაქვს, რადგანაც იგი ტირანის - ეშმაკის, ჩვენი ნამდვილი შეურიგებელი მოსისხლე მტრის მიერ სასტიკად შევიწროებულებს ანიჭებს თავისუფლებას, რათა ახალმან მან ერმან უფლისამან შეძლოს ღვთაებრივი სიხარულით ხმა-ჰყოს: „უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძჳრის მყოფელ ჩუენდა?“ (რომ.8,31). წყარო სიმართლისა, ჭეშმარიტებისა, სულისა და ხორცის სიჯანსაღისა და თავისუფლებისა მხოლოდ ღმერთშია, ღმერთკაცში, რომელიც არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაცხოვარი ჩვენი, მესია და გამომხსნელი, სასოება „ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა, და რომელნი არიან ზღუათა შინა შორს“(ფსალმ.64,6).

* * *

საყვარელნო მამანო და ძმანო!

ჩვენ ვდღესასწაულობთ ე უნიკალურ და განსაცვიფრებელ მოვლენას: ჭირვეულთა სამკვიდროში ზეცით ძისა და ღმრთისა მამისა სიტყვის სიმდაბლით გარდამოსვლას სულიწმიდის მიერ, რომელმაც ყოველივე შექმნა და არარსობიდან არსობაში მოიყვანა. ის სათნო-იყოფს გახდეს ყრმა, დიდებული და ღირსი გალობისა, იშვება მდაბალი, მაგრამ ყოვლადწმინდა და მარადქალწული დედისაგან; თავს იდებს ვნებებს და იტვირთავს ჯვარს, რათა წარმწყმედელი ეშმაკის უსჯულო ხელთაგან გვიხსნას ჩვენ, გვანიჭებს ძალას მის წინააღმდეგ, რათა დავამცროთ და დავთრგუნოთ იგი.

მან ისე შეგვიყვარა, რომ არის და რჩება „ყოველსა დღესა და ჟამსა“, როგორც წმინდა თეოდორე სტუდიელი ამოწმებს, ჩვენს შემწედ, შუამდგომლად და თავშესაფრად, თუკი ჩვენ, ვნებებს აყოლილნი, თავად არ უარვყოფთ მას (იხ. დიდი კატეხიზმო, 85). არაფერს, რაც ამ ცხოვრებაში ხდება, რაც არ უნდა სამწუხარო, უსამართლო, დამთრგუნველი და მძიმე იყოს ის, არ ძალუძს დაგვაბრკოლოს, ვიდრე ჩვენ რწმენითა და სათნოებით განუყოფლად ვართ შეერთებულნი ახალშობილ ყრმა ქრისტესთან, მარადიულ ღმერთთან.

არა ჰრიდოს უფალმან ჩვენმან არც გარეგნობას, არც წოდებას, არც ღირსებას. ის გულის სიღრმეს ჭვრეტს და ყოველთვის სამართლიანად განსჯის. და მეორედ მოსვლის ჟამს ღვთაებრივი სამართლიანობით განიკითხავს თითოეულ ადამიანს, შესაბამისად მათი საქმეებისა და ცხოვრებისეული არჩევანისა.

აქ დედამიწაზე, დღევანდელი უპრეცედენტო სიტუაციებისა და განსაცდელების მორევში, ჩვენ ცკი ერთგული ქრისტიანები, თითქოსდა ვკარგავთ მისი უსაზღვრო ღვთაებრივი წყალობის შეგრძნებას და ზოგჯერ გვგონია, რომ როგორც სასოებას მოკლებული ურწმუნონი, მივცურავთ ღია ზღვაში. ნუ დავივიწყებთ ქრისტე მაცხოვრის სასუფევლის ნათელს, სადაც იგი თავის მსახურთ, რჩეულთა თვისთა - მათ, ვინც ბოლომდე მოთმინებით ერთგულნი რჩებიან, უხვად უწყალობებს ტალანტებს, მიუწვდომელსა და აღმატებულს ყოველგვარ შემეცნებაზე - რომელსაც აწვე გვანიჭებს. ჩვენ ვუძღვნით მას უმნიშვნელოს, ხოლო იგი, ყოვლადუხვი, უაღმატებულეს წყალობას გვიბოძებს!

თუკი ჩვენი გული მისი სამყოფელი, მისი ბაგაა, მაშინ ქრისტე მაცხოვრის ღვთაებრივი სიბრძნე და გონება სარწმუნოდ წარმართავს ჩვენს სვლას და შინაგანად განგვამდიდრებს სიხარულით, სიმრთელით, ჭეშმარიტებითა და თავისუფლებით განურჩევლად გარემოებებისა და პირობებისა. რამეთუ ჩვენ ვართ და ვრჩებით ერთადერთ მძლეველთან, გამომსყიდველსა და მხსნელთან - ჩვენს მაცხოვარ იესო ქრისტესთან, რომელიც მასზე მთელი სასოებით მინდობილთ ცოდვათა მიტევებასა და მარადიულ ცხოვრებას ანიჭებს.

გავხდეთ მისი ღვთაებრივი უდიდებულესობის ღირსეული თაყვანისმცემელნი, მარადის ვადიდებდეთ მას და ცათა შინა წმინდათა ანგელოზთა თანა შეწყობილად ვუგალობდეთ მის დიდებას მარადიულ სასუფეველში!

ქრისტე იშვა!

ქრისტეს შობა 2021

წმინდა სინოდი

მთავარეპისკოპოსი ათენისა და სრულიად ელადისა

† კალინიკე